**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ, ქალაქ რუსთავში, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს (NAT) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №3**

ქ. რუსთავი 2 დეკემბერი 2024 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ა)ბესიკ ტოგონიძე-სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ბ)კახა გურული-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

გ)მამუკა მამაიაშვილი-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი;

დ)ზურაბ გუგბერიძე-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და დოკუმენტალური მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი;

ე)ლელა ღუბიანური-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვებისა და დაგეგმარების განყოფილების ხელმძღვანელი;

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

ა)ოთარი ტატალაშვილი-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ბ)ზურაბი ტაბაღუა-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ)ნინო სოსელია-სატენდერო კომისიის წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;

**დღის წესრიგი:**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ, ქალაქ რუსთავში, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების **NAT240021110** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს შედეგების განხილვა.

**განხილვა:**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა სატენდერო კომისიას გააცნო, რომ **NAT240021110** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშესთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განცხადება განთავსდა 2024 წლის 31 ოქტომბერს. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო **შპს „ემ-სი გრუპი“**-მ **(ს/კ 216451890)** ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასით - **10 000 041.00** (ათიმილიონ ორმოცდაერთი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა სატენდერო კომისიას ასევე გააცნო, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა წარმოედგინა:

- ხარჯთაღრიცხვების განფასებული დანართი №2 (პრეტენდენტს უნდა აეტვირთა შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები ექსელის (Excel) და PDF ფაილების სახით);
- სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით მოთხოვნილი - ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ - დანართი №3;
- სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით მოთხოვნილი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - 2021 წლის პირველი იანვრიდან მოცემული ტენდერის გამოცხადების თარიღამდე, ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის - შენობა-ნაგებობების სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების და გახმოვანების სისტემის მოწყობის ან/და გახმოვანების აკუსტიკური სისტემების მოწყობის ან/და სასცენო აპარატურის ან/და მუსიკალური აპარატურის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოების ფაქტობრივი შესრულების არანაკლებ **15 477 976.00** (თხუთმეტმილიონ ოთხასსამოცდაჩვიდმეტიათას ცხრაასსამოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობის გამოცდილება, რაზედაც პრეტენდენტი ვალდებული იყო ელექტრონულ სისტემაში აეტვირთა საანგარიშო პერიოდში, მოთხოვნილი გამოცდილების დამადასტურებელი, მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები: ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, ფორმა №2-ები. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში თუ მოცემული დოკუმენტები ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საკმარისი იქნებოდა შესაბამისი განცხადების ნომრ(ებ)ის (SPA, NAT, DAP, CMR) წარმოდგენა. ამასთანავე, პრეტენდენტს ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის - შენობა-ნაგებობების სამშენებლო ან/და სარემონტო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოები და გახმოვანების სისტემის მოწყობის ან/და გახმოვანების აკუსტიკური სისტემების მოწყობის ან/და სასცენო აპარატურის ან/და მუსიკალური აპარატურის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა;
- სატენდერო დოკუმენტაციის 2.4.1 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ - დანართი №5 (პრეტენდენტს აუცილებლად უნდა ყავდეს შესაბამის სფეროში საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ 1 (ერთი) სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით. პრეტენდენტს ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აეტვირთა ამ სპეციალისტების პირადობის დამადასტურებელი მოწმობების და საინჟინრო განათლების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, ასევე აღნიშნულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ასლები, რომელიც ადასტურებს მიმწოდებელთან მათი მუშაობის ფაქტს);
- სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სამუშაოების შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი - დანართი №6 (წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკი უნდა ყოფილიყო სამუშაოების ტიპების ან/და ეტაპების მიხედვით ჩაშლილი და არა სამუშაოს ერთეული მოცულობის გათვალისწინებით).

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად, სატენდერო კომისიამ განიხილა **შპს „ემ-სი გრუპი“**-ს **(ს/კ 216451890)** მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია, კერძოდ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ იქნა:

- ხარჯთაღრიცხვების დანართი №2-ის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა და ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვების №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18, №19, №20, №21, №22, №23, №24, №25, №26, №27, №28, №29, №30, №31, №32, №33, №34, №35, №36, №37, №38 და №40 ხარჯთაღრიცხვები ექსელის (Excel) ფაილების სახით (ხარჯთაღრიცხვა №40 წარმოდგენილია ორჯერ). *პრეტენდენტს არ წარმოუდგენია ხარჯთაღრიცხვების დანართი №2-ის ხარჯთაღრიცხვა №39* რაც არ შეესაბამება „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილს და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად - *„სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს“, არ ექვემდებარება დაზუსტებას.*

***კომისიამ დაადგინა:***

1. **შპს „ემ-სი გრუპი“**-ს მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია არ შეესაბამება „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილს, რადგან *პრეტენდენტს არ წარმოუდგენია ხარჯთაღრიცხვების დანართი №2-ის ხარჯთაღრიცხვა №39* და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად - *„სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს“, არ ექვემდებარება დაზუსტებას.*
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **შპს „ემ-სი გრუპი“**-ს მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ლელა ღუბიანურს წინამდებარე ოქმისა და შესაბამისი წერილის ატვირთვა ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 2024 წლის 2 დეკემბრისა.

კომისიის თავმჯდომარე: ბესიკ ტოგონიძე

კომისიის წევრები: კახა გურული

მამუკა მამაიაშვილი

ზურაბ გუგბერიძე

კომისიის აპარატის წევრი: ლელა ღუბიანური

Rustavi City Municipality
Digitally signed by Rustavi City Municipality
Date: 2024.12.02 15:58:43 +04'00'